ზვიად ზალიკიანი

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

2011 წელს დაამთავრა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამა, სოციოლოგიის მიმართულებით.

2013-2014 წლებში ერაზმუს მუნდუსის ALRAKIS-ის პროგრამის ფარგლებში სწავლობდა გრონინგენის უნივერსიტეტში (ნიდერლანდები), თეოლოგიისა და რელიგიის კვლევების ფაკულტეტი.

2017 წელს მიენიჭა სოციოლოგიის მაგისტრის ხარისხი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში.

მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციასა და ტრენინგში სოციოლოგიის მიმართულებით.

2013 წელს გამოიცა კრებული ***ბიბლია პოსტმოდერნული პერსპექტივიდან,*** რომელშიც შესულია მისი თარგმანი ***ბიბლიის წაკითხვა.***

2012 წლიდან მუშაობს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მოწვეულ მასწავლებლად.

2016 წელს TrainNComing პროგრამის ფარგლებში სტაჟირება გაიარა ლიტერატურის, ხელოვნების, ისტორიისა და საზოგადოების დეპარტამენტში, პარმას უნივერსიტეტი, იტალია, სადაც სემინარი ჩაატარა სოციოლოგიისა და ჟურნალისტიკის პროგრამის სტუდენტებისათვის.

2017 წლის აპრილიდან დღემდე იკავებს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტის პოზიციას.

ინტერესთა სფერო: სოციოლოგია, თეოლოგია, რელიგიის სოციოლოგია, პოლიტიკური თეოლოგია.